

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სა-  
რაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე  
ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე  
მკვლევრებთან ადრესი: Тифлисъ, ред. „ДРОВА“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—  
8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ.  
6 თვ.—5 მ., 5 თვ.—4 მ. 50კ., 4 თვ.—4 მ., 3  
თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ვ. ლეკე სომეხი „დროებისა“ დიას ნ. პაპუაი.



გამოდის ყოველ-ღვინე ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრუქტურა  
8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერ-  
დი 25 მანათი; პირველი 50 მ. კონტრა-სტრუქტურა  
ნებისა ითვლება მათგან დაქვრანდის აღმართის სტრუ-  
ქტურაზედ.  
თუ საქართველოში მოსახლეს, რედაქცია გააწარმებს და შეამო-  
ღებს დასახელებულ გამოცემას წერილებს. დაუბრუნდეს წერი-  
ლებს რედაქცია კერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и за-  
границы принимаются только въ цент. конторѣ объявл.  
Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

„დროების“ ფასი აგვისტოს პირველიდან წლის  
დამლევამდე 4 მან. და 50 კაბ.; სოფლის მასწავლე-  
ბელთათვის 3 მან. და 50 კაბ.

### ერთი საჭირო სავნის გამო

ვის არ გაუგონია, რა საცოდარობა  
ტრილოზს იმერეთში მამულების  
უქონლობით; რაოდენი უსიამოვნო-  
ბა, ბევრჯერ საზიზარო ხასიათისა,  
მოსდევს ამ ნაკლებადანებას: კა-  
ცის კვლა, დახანჯვა, განუწყვეტე-  
ლი შური, მტრობა მეზობელთა,  
მეგობრულთა და თვით მოძმეთა შო-  
რის—აი მეტის-მეტად ხშირი მოვლენა  
სახანა-სათვის უქონლობის გამო. ამას  
ზედ ერთის აურთიკველი დავა სასამარ-  
თლოებში მამულების კუთვნილობის  
თაობაზე, განუწყვეტელი ჩივილი მან-  
რის უფროსებთან, გუბერნატორებ-  
თან; დაუმატეთ ამასვე ისე საშინლად  
გაერცლებული ამ უკანასკნელ დროს  
ბეზღობა და თქვენ ცხადად წარმოგიდ-  
გებათ ხსენებული საქმის ვრცელი მნი-  
შენლობა

მეორეს მხრით, ვის არ გაუგონია,  
რომ ზემო იმერეთში, რაჭაში ერთი  
ქცევა მიწა (დღიურზე ნაკლები) ოცი  
ორმოცი თუმანი ღირს; ვინ არ იცის

### მტროგრამული წერილები ფ. შავ-სეკსურეთი წერილი მესამე\*)

თავისებურს მოვლენას ფშავ ხე-  
სურის ცხოვრებაში შეადგენს ეგრედ  
წოდებული სეკის-ბერობა. როგორც  
იურიდიულს დაწესებულებას, ძველს  
დროში ხევის-ბერობას სხვა მნიშვნე-  
ლობა ჰქონდა, სხვა ხასიათი. მაშინ,  
ძველს დროს, ხევის-ბერი ფრიად  
თვალ-საჩინო მოხელე იყო და ხელთ  
დიდი ძალა ეჭრა; ეს ძალა მარტო  
ფაქტიური როდი იყო, მას აღვიარ-  
ებდა თვით კანონი, სახელმწიფო.  
ძანონი განმარტავდა—რა გვარის თა-  
ნამდებობით იყო შემოსილი ხევის-  
ბერი, რომელი ადგილი ეჭირა მას  
სახელმწიფოს იერარქიულს შენობა-  
ში. სამწუხაროდ, ჩვენი მწერლობა  
მეტად ცოტა ყურადღებას აქცევს  
ძველ საქართველოს სახელმწიფო-  
ბის წესწყობილებას. მსგევე უნდა  
ითქვას ასეთს მაღალ-მნიშვნელოვანს  
დაწესებულებასზედ. როგორც ხევის-

ისიც, რა დიდს სიხარბით ეტანება  
გლახობა მამულის შეძენას, არა ჰზო-  
გავს არც შრომას, არც ფულს, არც  
კი საქონელს და ავეჯულობას, რომ  
როგორმე მიუმატოს ორიოდ გოჯა  
მიწა თავის მინდორს. რასაკვირველია,  
რომ ხალხი რივიანად დალაგებული  
იყოს, რომ ის არ საჭიროებდეს თა-  
ვის საგდლის მოსაყვან მიწას, მაშინ,  
დარწმუნებული ვარ, დიდად იკლებდა  
კაცთა შორის ესეთი შუღლი, ესეთი,  
დაუნდობლობა....

ამ უკანასკნელ ოც წელიწადს შა-  
ვი ზღვის პირი აღმოსავლეთით და  
ცოტათი სამხრეთითაც ხალხისაგან  
სრულიად დაიკალა. აბაზმა, აბაძენ-  
მა, შაპსულმა, ქობულელმა, აქარელ-  
მა თავი დანება მამა პაპის საფლავს  
და გადასახლდა სათათრეთში. მშვე-  
ნიერი, ნაყოფიერი ტყე და მინდვრე-  
ბი აობრადა; შემუშავებული დაბებნი  
და აგარაკები უდაბნო, შეუსავალ,  
ქაობიან ალაგებათ იქცნენ; ადამიანის  
სადგურს მხეცები დაეპატრონენ. მი-  
ჩუმდა ხმაურობა, მოისპო მოძრაობა,  
სიცოცხლე და ოდესმე აყვავებულს  
მხარეს მკვდარი ნაპირი დაერქვა.

ჩვენდა სასიამოვნოდ, ეს სიკვდილი

ბერობაა. ხევის-ბერობაზე ძვირფასს  
მასალას გვაძლევს მეფე ბიორგის კა-  
ნონები (ძველის-დება მეფეთ მეფის  
ბიორგისა მიერ, მახტანგის კანონთა  
კრებაზე) და ჩვენ ვისარგებლებთ ამ  
კანონებით, ვუჩვენებთ მკითხველს  
ხევის-ბერობის წარსულს.

შეოდალურს საქართველოში ხევის-  
ბერობაც შეოდალურს წესზედ იყო  
მოწყობილი. როგორც სახელმწიფოს  
სხვა-და-სხვა კუთხეში, ისრე მთაში,  
სადაც აღორძინდა ხევის-ბერობა, ხე-  
ვის-ბერი, მოხელე-შეოდალი ხშირად  
არ ემორჩილებოდა სახელმწიფოებრივს  
ძალას, ხშირად ებრძოდა ამ ძალას,—  
ეუცილებლად პყრობად ტახტისა და  
სკოპტრისასა წარვედით ტახტით ჩვე-  
ნით... და მოვასხენით უოკუქსა უსუ-  
პურსი სეკის-ბერობა (წინასიტყვაობა  
ძველის-დებისა, სადაც მოხსენებულია  
არა-სანატრელი შინაური მდგომარეო-  
ბა მთიელებისა და მიზეზნი, რომელ-  
თაც გამოიწვიეს ეს მდგომარეობა).  
ბარდა საზოგადო მიზეზებისა, რომ-  
ელთაც უჩვენებს ქველას-მდებელი,  
ერთი უმთავრესი მიზეზიც იყო ხევის-  
ბერების უსუპურებისა— მათი დიდი  
მნიშვნელობა, სამხედრო თანამდებო-

ბროებითი სიკვდილია და სწორედ  
კაცის ხელშია ამ მიძინებული მხარის  
გაღვიძება. ამისათვის საჭიროა მხო-  
ლოდ ერთი საშუალება: გაუმართონ  
ხელი იმ ადგილობრივ ლტოლვილე-  
ბას, მიღრეკილებას, რომელიც დიდი  
ხანია აღმოჩნდენ ამ დანებებული მხა-  
რების მეზობელ მცხოვრებთ შო-  
რის; მისცენ იმათ უფლება დასახლე-  
ბისა, მიწის შემუშავებისა და პატარა  
ხანს ცოტათი მაინც შეუმსუბუქონ  
ტვირთი სახელმწიფო გადასახადისა. ამ  
მხრივ სრულს აზრებასაც არ მოი-  
თხოვენ ხიზნები, საჭიროა მხოლოდ  
განთავისუფლება უმძიმესი გარდასახ-  
დისგან—ბევრობიდან. ეს იმიტომ  
არის საჭირო, რომ ამ თავდანებებულ  
მამულებს დიდი უზარმაზარი შემუშა-  
ვება ეჭირვებათ. რამოდენა ღვაწლს  
და შემუშავებას ითხოვს ეს უკანასკ-  
ნელი, ცხადად სჩანს შემდეგის მაგა-  
ლითიდან: ზოგიერთმა შემძლებელმა  
მცხოვრებლებმა ბათუმისა და სხვა  
ქალაქებისამ ძალიან იაფად შეისყი-  
დეს მამულები მობულეთში, ჩაქვის  
მდინარეზე იმ აზრით, რომ საზაფხუ-  
ლო სადგურებად უნდა გადაექციათ.  
სახლების ასაშენებლად და ბაღების  
განსაკეთებლად ამათ მოუნდათ ახლო-  
მახლო ტყეებში ახოს გატეხა, გვი-  
მზარის ამოფხვრა. ეს საქმე ნახევარ-  
ზედაც არ არის გათავებული, თუმცა  
დღიურში ოც თუმანზე მეტი ჩაჰკა-  
რეს.


მაგრამ აქ ვაღმოსახლდენ შორე-

ბა, რომელიც მათ ხელთ ეჭრათ.  
ხევის-ბერი თავის ხეობაში სრული ბა-  
ტონი იყო, ყველაფერი იყო. მარ-  
თალია, ხევი იერარქიულს შენობაში  
შეადგენდა მცირედს აღმინისტრაცი-  
ულს ერთეულს და თვით ხევის-ბერი  
ემორჩილებოდა ერისთავს, გამგებელს,  
დარბაზს (Царскій совѣтъ, რომელ-  
საც (დარბაზს) კუშირი მოახსენებდა  
ხოლომე ხევის-ბერის დანაშაულობას  
(... თუ ხევის-ბერმან მოჰქლას გამ-  
გებელი... ერისთავმან ვეზირით დარ-  
ბაზს კადროს და დარბაზით მამული  
ეზობოს ხევის-ბერსა... ძველის დება,  
მუხ. მ.), მართალია, ხევის-ბერის  
საბძანებელი ფართო არ იყო, მაგრამ  
თავის საბძანებელში იგი მრავალ გვარის  
უფლებით იყო აღჭურვილი. დიდი  
ღირსება და უფლება ხევის-ბერისა,  
სხვათა შორის, სჩანს იმ გარემოები-  
დამ, რომ მისი სისხლი ეთანაბრებო-  
და გამგებლის სისხლს. ამ უკანასკნე-  
ლის სისხლი ღირდა ექვსი ათასი  
თეთრი და გარდა ამისა, როცა მას  
მოჰქლავდა ქუეყანა (об асть), სოფე-  
ლი ერთი პირი სეკი (уцелье), მაშინ...  
თეთრო ცხენი (თვითეულს ოჯახს)  
ბევარად დაედვას წელიწადსა შიგან

ული ესტონები, ბულგარიელები,  
ბერძნები და სხვ. დაიძრა ამ ქვეყნე-  
ბიდან ხალხი, დაჰყიდა საქონელი,  
სახლის მოწყობილება, ავეჯულობა  
იმ იმედით, რომ აქ, ახალ სამშობ-  
ლოში, ხელახლად ადვილად მოეწყო-  
ბა, ყველას იშოვის. მაგრამ უბედურს,  
უმეცარს ხალხს ძვირად დაუჯდა ეს  
გადმოსახლება. ბევრმა ვერ გასძლო  
ერთს წელიწადსაც და სამოთხის  
მომლოდინემ სამარე მოიპოვა აქ;  
ბევრი მთლად აობრებული, აუადმყო-  
ფობისაგან დასავეებული ან უკან და-  
ბრუნდა, ან დაიფანტა ახლო-მახლო  
ქალაქებში, დაარჩა თავის სახლობა  
მოჯამაგირედ, ძიძებად, გამდლებად.  
სწორედ ამ მდგომარეობაში ჩაქვი-  
დენ, სხვათა შორის, მობულეთში,  
ჩურუქსუს ახლო, სოფ. სმეკალოვკა-  
ში დახიზნულნი. ბეჩაეებისთვის ვი-  
ღაბსაც ჩავსმინათ, რომ ბათუმის  
ახლო მშვენიერ ალაგებს ურიგებე-  
ნო, გზის ფულსაც, ერთი წლის სა-  
გძალსაც მუქთად აძლევნო. რასა-  
კვირველია, რომ ერთიც, მეორეც და  
მესამეც ტყუილი გამოდგა. ასე გა-  
სინჯეთ აქამდინ, სახლის ალაგე-  
ბი და მინდვრებიც კი ვერ დაუყ-  
ვიათ. ამასთანავე გადმოხიზნებუ-  
ლებმა სრულიად ვერ აიტანეს ამ ქვეყ-  
ნის ჰაერი, საქმელი და სასმელი.  
მკაღმა დახეწა კუჭი და ნაწლიევი;  
წყალმა და ჰაერმა გაუჯდამა სხეულ-  
ში განუწყვეტელი ციება. იშვიათია,  
რომ ერთ წელიწადს გაუძლოს ვინ-

გამოსაყვანელად სასეფოდ და საუ-  
კუნოდ (იქვე, მუხ. ბ.). მსეთივე  
სასჯელი იყო დადგენილი ხევის ბე-  
რის სიკვდილისათვის: «თუ ქვეყანამ  
მოკლას ხევის-ბერი, გამგებლის სიკე-  
დილის სწორი პატივი, ბეგარა და  
სისხლი დაეურვოს და დაედვას ბეგა-  
რა საუკუნოდ» (მუხ. ს); თვით ხე-  
ვის-ბერობა როდი იყო ისეთი დაწე-  
სებულება, რომელიც მარტო ცალკე  
პირს (ხევის-ბერს) ანიჭებდა ღირსე-  
ბას, უფლებას, არა,—ეს ღირსება  
და უფლება გადადიოდა მთლად მისს  
ოჯახზედ, გვარზედ. ბევრგანობითი  
საფუძველი, როგორც სხვა წოდება-  
ში, ისრე ხევის-ბერობაშიც, განხორ-  
ციელებული იყო, თუმცა ისიც უნ-  
და ესტქვათ, რომ კანონმა იცოდა  
«გაუყოფარი» და «განაყოფი» წევრი  
ხევის-ბერის გვარისა. უკეთუ ვინმე  
«გაუყოფარი» ხევის-ბერის გვარისა  
მოჰქლავდა მისსავე «გაუყოფარს»  
სახლის კაცს, სისხლი ექვსი ათასი  
თეთრი იყო, გარდა ამისა «გამცე-  
ბარს წელიწადს» მამულიდან, «თა-  
ვიანთი სახლნი დაწვენეს ერისთავისა  
და გამგებლისგან» (მუხ. ზ); ამ სას-  
ჯელის ნახევარი გაჩენილი იყო «გა-

\*) იხილეთ „დროება“ № 241, 1884 წ.



მემ ამ მდგომარეობას. შარშან მოსული ღონიერი და მაგარი მუშა ხალხი წელს მიდის წყალმანკ-მორეული, საცოდაოდ ჩამომდნარი, ჩამოყვითლებული. ერთ ამ გვარ სახლობს ჩვენ შევხვდით ბათუმის ვოგზალზე: დედ-მამა ხუთი სული წერილ-შვილით ჩამოსულიყო მობუღეთიდან საღამოს მატარებლით და რადგანაც თავი ვერსად შეეფარნათ, ღამე იქვე ვოგზალზე გაეთიბნათ. ბათუმისას უბედურს მამაკაცს მოსვლოდა საშინელი პირისღებინება, მუცლის ფაღარათი და იქვე უსუფთავო ეზოში წაქცეულიყო. ღვინა-კაცი ძუძუ-მწოვარი ბავშვით გაქცეულიყო ექიმის საძებნელად; დანარჩენი ბავშვები იქვე ვოგზალის კიბეზე დაეყარა. ერთს მათგანს ლურსმანზე ფეხი ჩამოეკრა და დასისხლიანებული საშინელის ხმით ღრიალებდა. დასაგებულ მამა უძრავად ეგლო ბალახებში და ვერც კი წამომდგარიყო, რომ როგორმე დაემშვიდებინა შვილი; ერთ საათზე მეტმა დრომ გაიარა, ვიდრე ღვინა-კაცი დაბრუნდა და მოიტანა რალაც სასმელი წამალი. შინაობის კითხვებზე იმან გვიამბო: შარშან ჩვენ 40 კომლამდე მკატერინოსლავის გუბერნიიდან გადმოვსახლდით. ჩემ კაცს ოთხი ხარი ჰყვანდა; ორი ხარი და, ბევრი ავეჯულობა გაყიდა, რომ საგზაო და დასახინებელი ფული მეტი დაგვრჩენოდა. მოგვატყუოლეს, გვითხრეს— რკინის გზითაც, ხომალდითაც უფასოდ წახვალთო, სახლისათვის ტყესაც მოგცემენ, ფულითაც შეგეწევიანო. მოვედით და ეს დაპირება სულ ტყუილი გამოდგა. აქ ავად დავხდით, სიმინდის პური ვერ ავიტანეთ და აი ჩამოვედით ბათუმს, რომ ისევ ჩვენს სამშობლოში წავიდეთ; გზის ფულის საშოვნელად დანარჩენი ორი ხარიც გაყვიდეთ. ჩვენთანვე მოსულებიდან

ოცდახუთი სახლობა უკვე დაბრუნდა უკან. ასე, ჩემო მკითხველო, ვერც სოფელი გაშენდა, და ამოდნა შრომამაც, ხარჯმაც ფუქად ჩაიარა. ახლა შეხვდით სხვა სურათს: საკვირველი სანახაფია ცხლა ზოგიერთი ალაგები მობუღეთში ზედ ბურისის სამზღვართან—ის საშინელი დაბურული ტყეები, რომლებშიც უზარმაზარი ქობების გამო ერთი ფეხის ვადღამაც საშიში იყო. ადგილობრივი მცხოვრებლები არ დაერიდნენ ამას: შარშან ამ ალაგებში ახლა გატყვეს, არხები გასჭრეს, ნიადაგი გააშრეს და წელს დასთესეს სიმინდი; ისეთი სამაგალითო მოსავალი მოვიდა და ისე კეთდება ეს დახაშული ალაგი, რომ ხუმრობა იქით იყოს, ეს პონერები საზოგადოებისაგან დიდი ჯილდოს ღირსნი არიან. დიდი შეცდომილება იმათი მხრით, ვინც კი ხელს უმართავს უცხო ხალხს აქეთკენ გადმოსახლებაში. იმიტომ რომ, კაცი, როგორც ნაყოფი ბუნებრივი და ისტორიული ზედ-მოქმედებითა, მკიდროდ შეკავშირებულია იმ ალაგთან, სადა უცხოვრია იმის წინაპარს, სადა თითონაც დაბადებულია და აღზრდილია. იმას მტკიცედ შეთვისებული აქვს სამშობლო ქვეყნის ჰაერი, საქმელ-სასმელი. მა ამ პირობის ერთ-ბაშად შეცვლა დაუსჯელად არავის ჩაუვლის ხოლმე... ახალი პირობების შეჩვევას, შეთვისებას არა ერთი და ათი წელი ესაჭიროება. შემეტესი ნაწილი ვერ იტანს ამდენი ცვლილების ტვირთს და წყდება; დანარჩენ უმცირესობას ისე ეცვლება პირადი ინდივიდუალური ხასიათიც და გვარტომობის ნიშნებიც, რომ რამდენიმე შთამომავლობის განმავლობაში კაცი გარეგნობით თითქმის ვეღარც კი გა-

ნარჩევს გადმოხიზნულის შვილი-შვილებს ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან. ეს არის კანონი ბუნებისა და ვინც იმას უღრჭყოფს, ის დიდ შეცდომასა და უსამართლობას სჩადის. ივლისის 28-ს. ნ. ხ. ქ. ბათუმი.

### შინაური ქრონიკა

თიანეთიდან გვწერენ: «თუმცა ჩვენი მაზრა მშვიდობიანია და ცარცვა-გლეჯას აქ იშვიათად შეხვდებით, მაგრამ მინც ესეც ხანდისხან არ გვაკლია ხოლმე დიდ გამჭირახობას და მეცადინეობას იჩენს პოლიციის მოხელე ბატ. მლიზბარ გუგუშვილი, რომელმაც არა ერთი და ორი ბოროტ-მოქმედება გამოაშკარავა და სამართალს მისცა ხელში დამნაშავენი.»

იქიდანვე გვატყობინებენ: «მთაში საქონლის ჰირი მძინვარებს. ამის წინად თუ შეითიდა იწერებოდა პოლიციის ბოქაულის თანაშემწე, რომ ყვაფილი გაჩნდაო.»

ამ წლის ივლისის 12-ს უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა წინადადება საქართველოს საექსპორტოს ახლად დაუფოსა. ამის ძალით საქართველოს საექსპორტო გაიყოფა ხუთ ეპარქიად 1) საქართველოს ეპარქიაში მოჰყვება თბილისის, ქლი-სავეტოპოლის, ბაქოს და ქრევის გუბერნიები და აგრეთვე ოლქები შარსისა, ღლისტინისა და იმიერ-მასპიის მხრისა. ამ ეპარქიას უნდა განაგებდეს თვით ექსპორტის საქართველო-სა, რომელსაც ერთი ვიკარი ეყოლე-

ბა. 2) იმერეთის ეპარქია შეესაბამება მხოლოდ შუთაისის გუბერნიის მხარისაგან: შუთაისისა, შორაპნისა და რაჭისა. მას უნდა განაგებდეს იმერეთის ეპისკოპოსი. 3) აკვაფის ეპარქია შეესაბამება მთლად იერგის ოლქისაგან. 4) ბურია სამეგრელოს ეპარქია ფუძნდება ბურის ეპარქიის და სამეგრელოს სავიკარიოს მაგივრად, რომელნიც გაუქმებულნი იქნებიან, და შესდგება შუთაისის გუბერნიის ოთხის მაზრისაგან: ლეჩხუმის, სენაკის, ზუგდიდის და მჭურგეთისა; ამ ეპარქიაში მოჰყვება ბათუმისა და ართვინის ოლქები. 5) სოხუმის ეპარქიაში მოჰყვება სოხუმი და შავის-ზღვის ოლქის ნაწილი ნოვოროსიის და ანაპის ქალაქებით და ზოგიერთ სოფლებით. შისკოპოსებად ასახელებენ ორს პირს: სიღნაღის მაზრის ხირსის მონასტრის წინამძღოლს არქიმანდრიტს მესტრატის, რომელსაც სემინარიაში გაუთავებია კურსი და დიდხანს საქართველოს მონასტრების ბლაღოჩინად ყოფილა და აგრეთვე ბორის მაზრის შვაბთა-ხევის მონასტრის წინამძღოლს ილუმენს შილარეტს.

ჩვენი გასუთის მკითხველებმა იცინან, რომ რუსეთიდან ბევრი დასახლებები მოდიან კავკასიაში დასახლებულად. შაკი ზღვის ნაპირებზედ ბევრი დასახლებს, მაგრამ იქური ჰაგ ვერ აიტანეს, რისგამომც ზოგნი უკანვე დაბრუნდნ და უფრო ბევრი დაისრცა. ამ დღეებში ჰვენს ქალაქში 200 კაცი ჩამოვიდა რუსეთიდან უარსის ოლქის სარაქმისში წასახლულად და იქ დასახლდებოდა, სადაც მთავრობამ მათ მამულები მისცა. ზოგიერთს მათგანს სრულად შემოქალაქობდათ საზღვო და ქალაქში დაგდასახლდნ.

ამ დღეებში თბილისში ერთი უბედური შემთხვევა მოხდა: ერთს ავი-

ნაკოფის» მოკვლისათვის (მუხ. თ.) მართალია, ღირსების შესახებ აშინარი განსხვავება არსებობდა ერთისა და მეორის შორის, მაგრამ ერთიც და მეორეც ხევის-ბერის მორჩილნი იყვნენ... «ხევის-ბერს დარბაზით თავადობა ჰბოძებია და ისინი მისნი მოახლენი იქნებიან... დარბაზით დაყენებულს ხევის-ბერს ახლავან... (იქვე), ასე რომ მთელი გვარი შეადგენდა ერთს კავშირს, საზოგადოებას, რომელიც განსაკუთრებულის ღირსებით და უფლებით იყო შემოსილი. ამ მხრივ ხევის-ბერი უფროსი იყო როგორც თავის ხევისა, ისრე თავისის გვარისა. თუ სადამდინ მიდიდა ეს გვაროვნობითი კავშირი, სჩანს იქიდანაც რომ თვით ხევის-ბერობა, როგორც თანამდებობა, მოხელეობა მემკვიდრეობით ერთის წევრიდამ მეორეზედ გადადიოდა, ეს მოხელეობა ერთსა და იმავე გვარში ტრიალებდა,—თუ მის ხევის-ბერის გვარის კაცი იყოს ასეთი, რომ გამგებლის სიკვდილს არ დახვედრიყოს და არას ერიოს არა ცხადად და არა იღუშმალ, თვით მას ებოძოს ხევის-ბერობა დარბაზით... (მუხ. მ.). რა-

საკვირველია, როცა ამისთანა «გვარის კაცი» არ იყო, მაშინ «ვინც მრისთავმან და ახალმან გამგებელმან გამოარჩიონ ერთი კაცი, მუჟას ერთ-გული იყოს და ქვეყანასაც უჯობდეს, იგი დაყენონ დარბაზით ხევის ბერად (იქვე). შემოდხსენებულიდამ ერთი საყურადღებო დასკვნა გამოდის: აღმოცენილი გვაროვნობითის ღირსების ნიადაგზედ ხევის-ბერობა დარბაზის ხელ-ქვეით იყო, მარტო ამ უმაღლეს პოლიტიკურს ორგანს ექვემდებარებოდა. მაშასადამე ხევის-ბერობასაც ისეთივე ხასიათი ჰქონდა, როგორც სხვა პოლიტიკურს ორგანს,—ხევის ბერი იყო ფეოდალი-მოხელე, ისეთივე, როგორც მრისთავი, გამგებელი. რაში მდგომარეობდა ხევის-ბერის უმთავრესი სამსახური? ხევის-ბერი იყო სამხედრო უფროსი მთელის ხევისა.. «ხევის-ბერს დარბაზით ლაშქარს თავადობა ჰბოძებია...» (მუხ. ი); ციხე და დროშა—აი ორი ნიშანი, რომლითაც განსხვავდებოდა ხევის-ბერი; «ლაშქართ თავადობა» აი უპირველესი მისი მოვალეობა. როცა საჭიროება მოითხოვდა, ხევის-ბერს უნდა აღე-

მართა დროშა და წინ გასძლიოლოდა ლაშქარს; წინააღმდეგ შემთხვევაში... «სვეის-ბერობა და მამული წაქლას და ერთს წელიწადს უკან მამული ისევ ებოძოს, თუ ნამსახური იყოს და სხვა არა შეეცოდოს რა» (მუხ. თ). თუ ხევის-ბერობა ამოყვანილი იყო გვაროვნობის საფუძველზედ, მაშ «გვარის კაცსაც» შეეძლო «ლაშქართ თავადობა»,—ხევის-ბერი თუ უგემურად (ავად) იყოს ლაშქარობის ჟამს, მისი ძმა და მოახლე კაცი (ახლო ნათესავი) წავიდეს და ხევის-ბერს შეენდოს ლაშქარს წაუსვლელობა» (მუხ. კ)

აქ შევნიშნათ მკითხველებისათვის, რომ მარტო ხევის-ბერი როდი იყო ლაშქართა უფროსი, მას გვერდით უდგა «ციხის თავი»,—«ციხის თავნი ხადს») ორნი იყვნენ... თუ ვინმე მოჰკლას ციხის-თავი, ხევის-ბერმან ანუ სხვამ ვინმე.. სამს წელიწადს მამულისაგან განიძოს და მამული სასეფოდ დაეჭიროს და სამი-ათას-ხუთასი თეთრი სისხლად დაეურვოს... (მუხ. ივ). მაშასადამე, ციხის თავის სისხლი ხევის-ბერის ნახევარს სისხლს

უღრიდა, პირველი ღირსებით ნახვერად ნაკლები იყო მეორეზედ. შარდა ამისა, როგორც ხევის-ბერობა, ისრე ციხის-თაობაც დაფუძნებული იყო ჩამომავლობით, გვაროვნობითის ღირსებაზედ, თუმცა ეს ღირსება ციხის-თავისა უფრო ვიწრო წრეში იყო მოთავსებული, მის კერძო ოჯახის გარე არ სცილდებოდა, რადგანაც მეფე ბიორგის კანონი როცა ლაპარაკობს ციხის-თავის ოჯახის ღირსებაზედ (სისხლის დაურვება, როგორც იურიდიული ფორმულა კაცის ღირსებისა), იხსენებს მარტო მისს შვილს და ძმას,—«თუ ციხის თავის ძმა ანუ შვილი ვინმე მოჰკლას, ჰაეროვანის სისხლით დაიურვოს» (მუხ. იდ.—ჰაეროვანი—отличнейший из жителей, რუსულს თარგმანში), ხოლო ჰაეროვანის სისხლი თხოულობდა, გარდა სამშობლოდამ სამს წლობით გაგდებისა და მამულის ჩამორთმევისა, ათას-ორასს თეთრს (მუხ. ია); აშინარი სასჯელი იყო დაწესებული ციხის-თავის ძმის ანუ შვილის მოკვლისათვის. საზოგადოდ რომ ესთქვათ, მთიელების კანონი (ძეგლის-დება მეფე მი-

\* სოფელია ხევსურეთში.



ცერს „გურუჯი“ ორი თუ სამი ჩასხმული გზის ზურის ქამის დროს ჩაქუცდნა და ექვსედ დასდგომიდა. ექიმი თუძვს მიეწვიათ, ოპერაციაც გაკეთებინა, მაგრამ ვერაფერი ეშველა და რამდენიმე სნის უკან გადაწვლილიყო.

გაგონებულა შუამდგარა საზოგადოება კოსმეტიური ქარხნის გასამართადა, რომლის გამკუცხადაც ფრანგული დიურონი იქნება. ქარხანაში სსკათა შორის „დუხუბი“ მომსადადება. იგუგე კამანია გამართავს კავკასიაში ამისთანაკვე საკუთარს ქარხანას. (სს-პეტერბურგისკა ვედეომსტი)

გაგონებულა „ქასში“ გვარსებებს, რომ ბაქოში სახნის ქარხნების რიცხვი ძალიან მატულობს. იქვე მისულა ვალდის მსარხიდაი ერთი ვაჭარი რომელსაც დიდი ქარხნის გამართვა სურს. ქარხანების გამართვების მიხედვით ის არის, რომ ბაქოში სახნის გასაკეთებელი მასალა ბევრია, სსკათა შორის ნავთის ნაშთი.

გაგონებულა სწორედ გაგონებულა „ნოვოე ობოლნიკი“, რომ მთავარ-მმართველის განკარგულება შუშის მახრის უფროსის განსაკუთრების შესახებ რომელითაც უმჯობეს მას საშუალება სსსამართლად წინაშე თავი იმართლოს, მცნოვრებთ თანაგრძნობით მიუღიანთ.

გაგონებულა არა ერთს ქაღს აუქნებენ შუშ-რანკებს ცნების რეინას გზის გაგონებში ზოგაერთა ვაჟ-ბატონები, მაგრამ თვით საზოგადოება არავითარს მონაწილეობას არ იღებს და ჭკობია, რომ წესიერების დაცვა და სუსტი არსების გამოსარჩლება მართლაც პოლიციის ვალი იყოს. ამას წინადაც ერთს პატრონის ქაღს გინტო მოუჭდა გვერდით და ასე უთხრა: „არ შეიძლება თქვენი განცოხა?“, მასუს ადარ მოუჭდა, ხელი დოკაში წაატანა და ზედ დაუძა: „არ ვარვი რამა სადო!“

ორგისა) სასტიკს ყურადღებას აქცევს სამხედრო ნაწილს (მაგ. მუხ. კზ, სადაც სჯაა ციხის დაქვევებდ და სხ.), დიდს პატივს სცემს დროშას და ლაშქარს. მთა იყო მოწინავე, მიუდგომელი ციხე სახელმწიფოსი და ამ ციხეში იწვრთნებოდა საუკეთესო ვაჟკაცობა ძველის საქართველოსი. აიდეც ამიტომ ხევის-ბერი და ციხისთავი უფრო სამხედრო პირნი იყვნენ, ვიდრე სხვაგვარნი მოხელენი, თუმცა ისიც კია, რომ პირველს (ხევის-ბერს) გარდა სამხედრო საქმეებისა, სხვა მოვალეობაც ჰქონდა. სამუხაროდ, კანონი გარკვევით არას ამბობს ამ სსკავკარ მოვალეობას, მართლაც თითო-ორჯოლა ალაგს და ისიც გაკვირით იხსენიებს მას. აქ საყურადღებოა ერთი მოვლენა და იგი უნდა აღენიშნოთ ჩვენ: ძველი კანონი არც მრისთავს, არც გამგებელს და არც სკვის-სურს არ ანიჭებდა რაიმე ძალას საეკლესიო, რელიგიურს საქმეებში, — «სხვა რაც სასჯულოს საკითხავი იყოს იგი კათალიკოზსა და მათ განაჩენთა, მათ ზედ ეპისკოპოზთა მათ კითხონ...» (წინა-სიტყვაობა ძველის დებისა). თუმცა ასე იყო, მაგრამ ისევე ძველს სა-

საბრალდა ქაღმა კონდექტორს დაუძისა, მაგრამ გინტო ვაგონიდაი გადატა და დაიძაღ. (სსკავკ ობოლნიკი)

### უცხოეთი

იმ ვაზეთების აზრი, რომელიც არ ენდობოდენ სალისბიურისაგან წარმოთქმულს სიტყვებს მსოფლიო მშვიდობიანობის დამყარებაზედ საფუძვლიანი გამოდგა. რამდენიმე დღის შემდეგ ლორდ-მერთან სადილის მირთმევისა და ტკბილ-ტკბილი სიტყვების გაბნევისა, მარკიზმა სალისბიურმა წარმოთქვა კვალად სიტყვა პარლამენტში და ეს სიტყვა სრულიად არ შეეფერებოდა ნადიმზედ მისგან ნათქვამს. ამ სიტყვაში მარკიზი ბძანებდა, რომ ზულფიგარს ავლანისტანს დავირდით და ჩვენი დანაპირები უეჭველად უნდა შევასრულოთო. მნით ნათქვამს მისმა ვაზეთებმაც კვერი დაჰკრეს და გამოაცხადეს რომ შეიარაღებულს მშვიდობიანობას ისა სჯობს ჩვენს მოკვეშირე ემირთან ერთად მტერს ბრძოლა აფუტებოთო.

მსეთს ლაპარაკს მეტად გაუცხარებია ვაზეთი «ნოვოსტი» და იგი ერთერთს თავის მოწინავე წერილში ამბობს:

«მთელმა თვემ უქმად გაიარა. ინგლისის მთავრობა ყოველ დღე სხვადასხვა თხონით მოგემართავს და ხან მლიქნელობით უნდა დაგვითანხმოს, ხან ომის მუქარით. ამავ დროს, ადგილობრივ, «რაციონალურ სამზღვართან», საქმემ სხვა ცვლილება მიიღო და ეს ცვლილება, არა გვეგონია, ჩვენთვის საკეთილო იყოს. ავლანის ბრძოლებმა ერთად მოიყარეს თავი ამ ადგილებში და საფუძველს აძლევენ ხმების გამავრცელებელთ ილაპარაკონ

ქართველოში ხევის-ბერებმა (ხევისურეთში დეკანოზებმა) მიითვისეს ეკლესიური უფლება, საეკლესიო წესების აღმასრულებელნი პირნი შეიქნენ (Д. П. М. рцеладзе, церковные гуджари, стр. 25, 41). შემდეგში, ჟამთა და დროთა ვითარებისა გამო, ეს უფლება თან-და-თან იზრდებოდა და ბოლოს, როცა ხევის-ბერმა დაჰკარგა თავისი ძველებური მნიშვნელობა, მას ხელში მერჩა საეკლესიო წესების აღსრულება. მიდრე ხევის-ბერის აწინდელს მნიშვნელობაზე ვიტყვით რასამე, ჩვენ უნდა განვმარტოთ ის სსკავკარი მოვალეობა, რომელიც ზემოდ მოვიხსენიეთ. თუმცა ხევის-ბერი «ლაშქართა თავედი» იყო, მაგრამ მას სხვაზედაც ხელი მიუწევდებოდა. ჩვენ უკვე შევნიშნეთ, რომ მრისთავი და გამგებელი იყვნენ უმაღლესნი მოხელენი, რომელთაც ექვემდებარებოდა ხევის-ბერი. თავის, შედარებით, ვიწრო წრეში ხევის-ბერი აღჭურვილი იყო იმგვარივე მოვალეობით, როგორითაც მისნი უფროსნი. აქ განსხვავება მართლაც მოვალეობისა სივრცეში გამოიხატებოდა და არა მისს სხვაგვარობაში. და თუ მრისთავს და გამ-

ხალს შეტაკებზედ, ყოფილზედ, ან მოსალოდნელზედ. რა თქმა უნდა, ეს მეტის-მეტად ცუდად იმოქმედებს უცხო ტომის ხალხზედ, რომელიც იმიერ-კასპიის მხარეში არიან დასახლებულნი. ამასთანავე იარაღით იჭურვებიან ინდოეთის სამზღვარზე. ამიტომ უადგილო არ იქნება, ჩვენც იგივე ვსთქვათ, რასაც სალისბიურის ორგანი «Standard»-ი ამბობს, მხოლოდ უკუღმა კი. ინგლისის მუქარა და მოთხოვნილება ცუდად მოქმედებს მშვიდობიანობის დაცვაზედ. რუსეთს შეუძლიან ინგლისსა ჰკითხოს, — რად ერევა იგი ავლანისტანის ჩრდილოეთის სამზღვრის საქმეებში, თუ კი სამხრეთის სამზღვრებში რუსეთს არ აძლევს ნებას ვაერიოს. თუ კი ინგლისს არა სურს უარ-ჰყოს, რასაც დაჰპირდა ემირს — არ ვიცით კი რისთვის — რუსეთს უფრო მეტი უფლება აქვს არ მისცეს იგი, რაც იმის ხელშია. არა გვეგონია, რომ მინისტრების ვაზეთის მუქარამ ვასკრას და ზულფიგარის ხეობა ემირისათვის დაათმობინოს. პოველ ამ ამბილამ ცხადადა სჩანს, რომ ფაქტიური მდგომარეობა საქმისა თანხმობის ჩამოგდებას სრულიად ხელს არ უწყობს...

ალბად იმითი თუ აიხსნება ესეთი ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგ წამოთქმული აზრები ინგლისის სამინისტროს მოთავესაგან, რომ, როგორც ამბობს ბერლინელი კორესპონდენტი ამავე ვაზეთისა, სალისბიურისა სურს ავლანის საქმე შეუცვლელად ამოფოს, ვიდრე იმის სამინისტროს ბედი გადაწყდებოდეს ნოემბრის არჩევნებში. იმ დრომდის კი სალისბიური ცდილობს საქმე ისე არ გაჰიარდეს, რომ აუცილებლად გადასაწყვეტად შეიქმნეს, რადგან მან არ იცის, რას მოუტანს ხვალისდელი დღე და ვიდრე ეს დღე

გებელს, მაგალითებრ, ხელი მიუწევდებოდათ სამოსამართლო საქმეებზედ, მათ ეკითხებოდათ პოლიციური ცხოვრება ხალხისა (ძველის დების მუხ. ზ, იზ, ის და სხვანი), ესევე უნდა ითქვას ხევის-ბერზედაც. ამ უკანასკნელს (ხევის-ბერს) სამოსამართლო ნაწილშიც თავისი შესაფერი ადგილი ეკირა, — «კაცსა რომ მოეპაროს ვისგან რამე... გამგებელსა და მის ქვეყნის სკვის-სურს აცნობონ, მათ უთხრან და დაუფრებინონ ამავე განაჩენითა...» (მუხ. მე). ჩვენ ვუჩვენეთ მკითხველს წარსული ხევის-ბერისა, როგორც მოხელესი. სურათის დასამთავრებლად საჭიროა ისიც ვუჩვენოთ — ვინ იყო ხევის-ბერი, რომელ წოდებას ეკუთვნოდა იგი ძველს საქართველოში. მეფეთა მეფის ბიორგის კანონი ამ საგანზედაც პირ-და-პირ არას ამბობს. ძველის-დება მართლაც ერთს მუხლში (მუხ. ლ) შეიხება ამ საგანს და ისიც მეტად მოკლეა. მაგალითად, როცა კანონი ლაპარაკობს ცოლის წაგვრახზე და უბრალოდ კაცის კვლახზე, მაშინ სკვის-სურს და სსსა-სურს «ერთს უარზანგობას» აკუთნებს:

დადგებოდეს, გარკვეულს პოლიტიკურ იგი ვერ დადგება. გინელონითა

### ბელგრაბი

„ჩრდილოეთის სააკტოსი“ იელისის 31-ს.

პეტიტორები. დღეს ხელმწიფე იმპერატორი დაწესდა კანონს კლესკის ბანაკს და სამხედრო სასწავლებლების ოუნიკრეს აფიცრის ჩინები მიეცემით.

ნიშნ-ნოვობოროდი. აარმუგაზედ გამოგზავნილია ტომსი და 104,270 ფუთი ჩაი. ფასა ჯერ არ არის დაწინაშული; ვაჭრები აკვისტოს 5-ს შეთანხმდებიან ამასზედ. შაქარზედ ფასის მომეტებას ელიან. შაქარს რაფინადი იყიდება 6 მან. 10 კაპოკადა 6 მან. 40 კაპოკადა. ვაჭრობა დუნედ მიდის; სსკავკილამ მოსული შეიგველები ცოცხა.


ლონდონი. საზოგადოებთა ზალატაში სამხედრო მინისტრმა სმიტმა იმედი გამოაცხადა, რომ მალე რეკრუტების დათხოვნას მახსენებს; ამასთანავე სიტყვა, — ჩვენ მივალეთ სსკავკოპებს, რომ დავიცვათ მოსაკრებელი ალა ინგლისისა და ყოველთვის ოპოზიციის მხად ვიყოლიოთო.

სიმლა. როგორც ისმის, დეკემბრის გასულს ჯგორთან 50,000 ჯარის-კაცი იქნება მოკროვილი საგარჯიშებლად და ინგლისის ჯარის რიცხვი ინდოეთში 6,000 კაცადე ავა.

ლონდონი. სტამბოლიდამ ტელეგრაფით იტყუბინებინა; სომხის ზატრანქი ამტკუნებს სმას, ვითომ იგი ცდილობდა რეფორმების შემოღებისათვის სომხეთში და აცხადებს, რომ

«...აზნაურთა, ხევის-ბერთა ას-ორმოც-და-ათი თეთრი არის ერთი უარზანგობა». (რუსულ თარგმანში, უარზანგობა — за орду. იქნება მკითხველმა იცოდეს, რომ საქართველოში ძველმა კანონმა სისხლის დაუფრების გარდა იცოდა ერთის და იმავე დანაშაულობისათვის აგრეთვე სხვა გადასახადიც, за орду, ძველის დების უ რსსკავკ). თუ სახეში მივიღებთ ზემოდ მოყვანილს ძველის-დების მუხლს, არ დავიწყებთ, რომ ხევის-ბერი ჰაეროვანზე მაღლა იდგა, მაშ უნდა დავასკვნათ, რომ ხევის-ბერი თავისის წოდებრივი ღირსებით აწინაურს ეთანაბრებოდა. ჩვენს დასკვნას ერთი საბუთიც ამტკიცებს — ის ჩამომავლობითი ღირსება, რომელიც ზემოდ ვუჩვენეთ და რომელიც ხევის-ბერის მთელს გვაროვნობაში იყო დატული.

ს. ურსიკლი.



სომხება კმაყოფილნი არის ოსმალებ-  
ის მოთვრობისა.

ლონდონი. ბერლინიდან გვან-  
ბებენ, რომ, როგორც სტამბოლიდან  
ისმას, დროუნიდ ვოლფას მისას კარ-  
გი ბ. ალა არ მიკლას და ოტომანთა  
წრებში ინტრიგება, ა უთახსოვებ  
ამ საგნის შესახებ.

ბირჟა

ბეტრბურგა ივლისის 30.

Table with 2 columns: Item description and price. Includes items like 100 მანათის კურსი, 100 მანათის კურსი სამის, 100 მან. კურსი სამის, etc.

ცნობანი

მაზანდა

ხორავისა, რომელიც იყიდება თბი-  
ლისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-  
დახელ 1 მარამობისთვიდამ 15 მარ-  
ამობისთვიდამ 1885 წ.

Table with 2 columns: Item description and price. Includes items like გამომცემი ჰური რუ-  
სეთის ფუქილისა, აქურის ფუქილისა, etc.

იმავე ფუქილისა თორნეში გამომ-  
ცემი:

Table with 2 columns: Item description and price. Includes items like პირველი ხარისხის, მეორისა, etc.

Table with 2 columns: Item description and price. Includes items like ჯვარის-მამის ჰური, პირველის ხარის, etc.

Table with 2 columns: Item description and price. Includes items like მროსის ხორცი, პირველის ხარისხისა, etc.

Table with 2 columns: Item description and price. Includes items like ღორის ხორცი, პირველის ხარისხისა, etc.

რძინის ვზა  
ფოსტის მატარებელი მიდის  
თბილისიდან ბათუმისაკენ  
8 საათზე და 35 წამ. დილით.  
ბათუმიდან თბილისში შემოდის  
10 საათ. 25 წამ. ღამით.

თბილისიდან ბაქოსკენ  
10 საათზე 55 წამზე ღამით.  
ბაქოდან თბილისში შემოდის  
8 საათ. დილით.

თბილისიდან სურამისაკენ  
3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.  
სურამიდან თბილისში შემოდის  
8 საათზე 24 წამ. დილით.

განცხადებანი  
სანიავებელი მაშინები

ჩვენებურის (კვერით) ნაღვეის გა-  
სანიავებლად, მოწყობილი ბ. ბ. ქა-  
ბეგისაგან და სამოილოვიჩისაგან, მხო-  
ლოდ რამდენიმე-ღა დარჩენილა.  
ფასი 90 მან.

მსურველთ შეუძლიანთ ნახონ ალექ-  
სანდროვის ბაღში, სამეურნეო სა-  
ზოგადოების სადგურში და ბ. ქა-  
ბეგთან, თბილისში, რკინის-გზის ვო-  
ზალზე, დეპო ნაჩაღინის სადგურში.

ძალაქს გარეშე მცხოვრებთ შეუძ-  
ლიანთ შემდეგის ადრესით მომართონ:  
Тифлисъ жел. дор. вокзалъ, началь-  
нику депо г-ну Казбекъ.

წერილების მომწერლებს უმორჩი-  
ლესადა ვსთხოვთ თავიანთი ადრესები  
სწორედ და დაწვრილებით შეგვატყუ-  
ბინონ; აგრეთვე სანიავებლის გამო-  
წერის დროს ისიც შეგვატყუბინონ, —  
თუ რკინის გზის რომელს სტანცია-  
ზედ მოისურვებს გამოწერილი მაში-  
ნა ჩაიბარონ. (10—8)

Advertisement for 'ვლადისლავ გვამარია' (Vladislav Gvamarია) with decorative border and text describing the product.

Advertisement for 'PEPTONOVYI PITATEL'NYI SHOKOLAD' (პეპტონოვი პიტატელნი შოკოლადი) by A. LEMANA, including an image of the chocolate box.

საგლობუსო პატენტის  
ტურნირისა და აახ.

რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ უსუფთაო ქაღალდზედაც.  
მრთად ერთი სააგენტო ინგლისის მაღაზია—არწრუნისეულს ქარვასლაშია.  
იქვეა თვით ფაბრიკადამ მოტანილი ყოველი აუარებელი სხვა-და-სხვა კალ-  
მები ყოველ „ხელისათვის“, 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე,  
აგრეთვე მელანი, ლაქი, ქაღალდი, კანვერტები, ყარანდაშები, რეველები,  
კომპასები, ბუმაჟნიკები, მაკრატლები, ტაბაკები (ფოდნოსები), კლიონკე-  
ბი, სტაქნები, გრაფინები, ტანისამოსის ჩამოსაკიდნი, ნაყდაკი, პატარა ჯო-  
ხები, იატაკის საწმენდები, ტანისამოსებისა და თმის შჩოტები, პირსახო-  
ცები, კოჭინები (პომოჩები), ალბომები, თოფები, რეველვერები, სასტვენ-  
ლები, გრიფილები, ასპიდის ქვის დაფები, ხელის საწნები, ფაიანსის თეფ-  
შეულობა, სხვა-და-სხვა ხარისხისა, ყველაფერი 25% უფრო იაფად, ვიდ-  
რე სხვაგან სადმე. უნდა გასინჯოთ აგრეთვე კალმები „გამოფენა“ (pen  
of exhibition, plume de l'exposition) 55 კაპეკად 144 ცალი, ანუ 5  
კაპეკად თორმეტი ცალი. ინგლისის მაღაზია იმყოფება არწრუ-  
ნისეულის ქარვასლის № № 95, 94, 93, 91, 90, 89, 88, 87, 86  
და 85. (100—24)

საყოველ-კვირბო ლიტერატურული და მსატრობითი გახეთი.

„თეატრი“

გამომცემი 1885 წ. ქვეყნისთვიდამ ქ. თბილისში. გარდა პირ და-პირი თვის  
დანიშნულებისა, ესე იგი ადგილობრივი თეატრების, (განსაკუთრებით ქართული)  
მდგომარეობის დაწვრალებით აღწერის, „თეატრი“, თვალს ადევნებს კიდევ ჩვენს  
ლიტერატურასაც დრო გამოშვებით „თეატრი“-ს მკითხველთა ხასხას მოთხო-  
ბებს, ლექსებს და პეესს სხვა-და-სხვა, ჩვენი მკითხველთათვის, საყურადღებო ამ-  
ბებს. საზოგადოთ შრომისა „თეატრისა“ შემდეგია:

- ა. მოწინავე წერილები
ბ. პიესებისა და წამოდგენების რეცენსიები.
გ. კრიტიკა და ბიბლიოგრაფია
დ. გორკისმანდენციები და ყოველ გვარი ცნობები გარეშე ქალაქებიდან.
ე. გამოჩენილ პირთა ბიოგრაფიული წერილები მათის სურათებით.
ვ. თეატრები: ქართული, რუსული, სომხური და სხვ.
ზ. აქტები: თეატრ.ს შესახებ, სტატები, დრამატული ისწულებ-  
ნი, ლექსები, სიმღერები გუშელები, რომანები, მოთხრობანი, ამბები, მოგონე-  
ბნი და სხვ.
წ. სხედატები, გამოცენები, რეჟისები, შირები და სხვ.
თ. ყოველ-გვარა ცნობანი და განცხადებანი.

ჩვენს ლიტერატურ ში გამოჩენილ მოღვაწეთ «თეატრის» აღუთქვეს თა-  
განთი პან-წილეთა.

«თეატრი» გამოვა კვირაში ერთხელ, კვირაობით ფასი «თეატრისა»-სა:  
წლით როგორც ქალაქისა, აგრეთვე გარეშე სკლის მომწერთათვის ხუთი (5) მანე-  
თი. ხაჩკარის წლით—სამი (3) მანეთი ცალკე სომერა დარს სამი მანეთი.

შეიძლება ნაწილ-ნაწილად შემოტანა წლის ფასისა: ხელის-მოწერისათხავე 3  
მანეთი, მისში 1 მან. და მარამობის თვეშიაც 1 მან. სხვა ვადით ხელის-  
მოწერა არ მიიღება.

სკლის მოწერა მიიღება: თბილისში „თეატრი“-ს რედაქციაში და გრიგ.  
ხარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—მ. ჭილაძეებს წიგნის მაღაზიაში. გარეშე მსოფრუბთათვის  
აღრესი: Тифлисъ, редація „Театръ“. Баронская улица, домъ Тамаше-  
вой, № 16.

მწენისთვემდის, როგორც ქალაქის, აგრეთვე გარეშე ხელის-მომწერ-  
თათვის აღრესი: Тифлисъ. Книжный Магазинъ Григорія Чарквіани. წე-  
რილებიც ამ აღრესითვე უნდა გამოიგზავნოს.

(5—3) რედაქტორი და გამომცემელი ვ. ხაშიძე.

ი. ა. ფორაქოვის და დ. ს. სარაჯოვის

სპირტისა და არყის დეპოში (თბილისში დ. სარაჯოვის სახლებში სა-  
სახლის ქუჩაზედ).

დაწმენილი პური არაჟი სხვა და-სხვა სორტისა და აგრეთვე სხვა-და-  
სხვა გვარი დაწმენილი სპირტი.

ვისაც ქალაქს გარედამ დაბარება უნდა, შემდეგის აღრესით უნდა დაი-  
ბაროს: Въ Тифлисъ. Въ оптовый складъ вина и спирта И. Пора-  
кова и Д. Сараджева. (20—4)